

მოსახლეობის აზრი საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაზე

ბეჟა დანგაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (ჯანდაცვის მენეჯმენტში)
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,
მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

სარჩევი

სარჩევი.....	i
დიაგრამების ჩამონათვალი.....	ii
ცხრილების ჩამონათვალი	iii
აბსტრაქტი.....	1
პრობლემა და კონტექსტი	3
ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
პროექტის მიზანი და ამოცანები.....	27
მეთოდოლოგია	28
მონაცემების ანალიზი	29
დისკუსია/დასკვნა.....	40
ბიბლიოგრაფია	43

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა N1. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში. 1955-2015 წწ. - გვ. 11

დიაგრამა N2. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში. 1995-2008 წწ. - გვ. 12

დიაგრამა N3. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. 1994-2015 წწ. - გვ. 12

დიაგრამა N4. მოსახლეობის დამოკიდებულება სამედიცინო მომსახურების ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე. - გვ. 34

დიაგრამა N5. მოსახლეობის შეხედულება სამედიცინო მომსახურების ხარისხზე. - გვ. 34

დიაგრამა N6. მოსახლეობის არჩევანი რეფორმამდელ და რეფორმის შემდგომ ჯანდაცვის სისტემებს შორის. - გვ. 35

დიაგრამა N7. რეფორმის მიმართ დადებითი დამოკიდებულების მქონე პირთა შემადგენლობა ასაკის მიხედვით. - გვ. 37

დიაგრამა N8. რეფორმის მიმართ დადებითი დამოკიდებულების მქონე პირთა შემადგენლობა სქესის მიხედვით. - გვ. 37

დიაგრამა N9. რეფორმის მიმართ დადებითი დამოკიდებულების მქონე პირთა შემადგენლობა განათლების მიხედვით. - გვ. 38

დიაგრამა N10. რეფორმის მიმართ დადებითი დამოკიდებულების მქონე პირთა შემადგენლობა ჯანმრთელობის სტატუსის მიხედვით. - გვ. 38

დიაგრამა N11. რეფორმის მიმართ დადებითი დამოკიდებულების მქონე პირთა შემადგენლობა დასაქმების სტატუსის მიხედვით. - გვ. 39

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი N1. სამედიცინო დაზღვევით მოცული მოსახლეობა. 2010 წლის მონაცემები.

- გვ. 9

ცხრილი N2. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ტენდენციები საქართველოში -

გვ. 13

ცხრილი N3. ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯები. - გვ. 14

ცხრილი N4. საყოველთაო ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით მოცული მომსახურების სახეები და თანაგადახდის წილი სოციალური მომსახურების სააგენტო, 2013) - გვ. 18

ცხრილი N5. რესპოდენტთა სოციო -დემოგრაფიული მონაცემების რაოდენობრივი განაწილება (n=250) - გვ. 30

ცხრილი N6. შეხედულებები ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებზე (%-ში) - გვ. 32

ცხრილი N7. რესპოდენტთა აზრის განაწილება შეფასების 3 ასპექტის მიხედვით (n=250) - გვ. 33

ცხრილი N8. სოციო-დემოგრაფიულ ფაქტორებსა და რესპოდენტთა მოსაზრებებს შორის კავშირი (n=250) - გვ. 36

აბსტრაქტი

შესავალი: 2013 წლიდან საქართველოში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, რომლის მიზანი ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება გახდა. კვლევის მიზანია, მოსახლეობის აზრის შესწავლა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის შემოღებაზე, მისი განხორციელების მსვლელობასა და პროცესზე, რომლის დროსაც ყურადღებას გავამახვილებთ ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა ასპექტზე.

მეთოდოლოგია: ნაშრომში დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად თბილისისა და ქუთაისის მასშტაბით ჩატარდა კვლევა, 2016 წლის აპრილიდან ივნისამდე, რომელიც შეიცავდა როგორც რაოდენობრივ ასევე თვისობრივ ელემენტებს. მონაცემების შეგროვება მოხდა სპეციალური კითხვარის მეშვეობით. სულ გამოსაკითხად შეირჩა 250 ბენეფიციარი.

შედეგები: გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას (90,8 %) დადებითი დამოკიდებულება აქვს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაზე. ისინი სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებს დადებითად აფასებენ ძირითადად ხელმისაწვდომობისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მხრივ. გამოიკვეთა კავშირი რესპოდენტთა სოციო-დემოგრაფიულ ფაქტორებსა და მათ მოსაზრებებს შორის. კერძოდ, ქალები (94,2 %) და დაოჯახებულები (92,5 %) იყვნენ უფრო მეტად დადებითად განწყობილნი საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მიმართ, ვიდრე მაგალითად მამაკაცები და დაუოჯახებლები. გამოკითხულთა დიდი ნაწილი (ძირითადად პენსიონერები) უკმაყოფილებას გამოთქვამს მედიკამენტების მაღალი ფასების გამო და თვლიან რომ ამის გამო მკურნალობა გაუძნელდათ.

დასკვნა: მიღებულ შედეგებზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის აზრით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა წარმატებული გამოდგა. მათი აზრით, რეფორმის ყველაზე დადებითი მხარე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და მომსახურების ხარისხის გაზრდაა, თუმცა გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რომლებიც გაანალიზებასა და შემდგომ გადაწყვეტას ითხოვს.

Abstract

Introduction: In 2013, Georgia has implemented Universal healthcare program to improve and offer financially accessible healthcare services for the whole population. The purpose of this study is to bring out opinions of the Georgian people on new Universal healthcare program, focusing on several aspects of health system.

Methods: A survey within the framework of quantitative and qualitative investigation was carried out in Tbilisi and Kutaisi from April 2016 to June 2016 to collect data on people's opinions on Universal healthcare program. Data was collected via questionnaire. A total of 250 people was interviewed.

Results: A vast majority of respondents (90,8 %) have a positive opinion on Universal healthcare program. Regarding the opinion on accessibility and quality, most of the respondents had a positive impression. There was a relationship between characteristics and opinions of the respondents. Females (94,2 %) and married (92,5 %) had more positive opinions than men and singles. Also significant number of respondents (mostly retired/pensioners) were not satisfied by the high prices of drugs and believe that this affects their medical treatment.

Conclusion: Hence, we conclude that from the people's perspective overall the Universal healthcare system reform was successful. But some problems still remain that need to be solved.